სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/91

19 აპრილი 2019

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 აპრილის №751 განკარგულების „ბ“ პუნქტის საფუძველზე უნივერსიტეტის ბაზაზე ინტერდისციპლინური მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის შექმნისათვის შესაბამისი ევროსტანდარტის სასწავლო პროგრამების მომზადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აპრილის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის შექმნის მიზნით, მომზადდეს პრიორიტეტული მიმართულების ოთხი პროგრამა: ა) მთის ბიოორგანული სასურსათო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია; ბ) ოთხი სეზონის მთის ტურიზმის ინჟინერინგი; გ) მთის ეკორისკების პროგნოზირება, იდენტიფიცირება, პრევენცია; დ) მთის სოფლის მდგრადი განვითარება;
2. პროგრამების მომზადების კოორდინატორად დაინიშნოს პროფ. ნ. ხოზრევანიძე;
3. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული საკითხი;
4. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს პროფ. ნ. ხოზრევანიძე;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**